



დამტკიცებულია რექტორის 2018 წლის 29
დეკემბრის №123 ბრძანებით, დანართი №1

ევროპის უნივერსიტეტის
„გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური
პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის“ დებულება

2018

დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები.....	2
მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის მიზანი.....	3
მუხლი 3. ინსტიტუტის ფუნქციები.....	3
მუხლი 4. ინსტიტუტის საქმიანობის ფორმები	4
მუხლი 5. ინსტიტუტის სტრუქტურა	4
მუხლი 6. ანაზღაურება	6
მუხლი 7. ინსტიტუტის დაფინანსება.....	6
მუხლი 8. სხვა დებულებები.....	7





მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევის ინსტიტუტი (შემდგომში - „ინსტიტუტი“) წარმოადგენს ევროპის უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ახორციელებს გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევას.

1.2. ინსტიტუტი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით, უნივერსიტეტის დებულებით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. ინსტიტუტის საქმიანობის მიზანი

ინსტიტუტის საქმიანობის მიზანია „გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიმართულებით კვლევის განვითარებაზე ზრუნვა და დარგის კვალიფიციური მკვლევარების საუნივერსიტეტო პროცესებში ჩართვის უზრუნველყოფა.

მუხლი 3. ინსტიტუტის ფუნქციები

3.1. ინსტიტუტის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტში თანამედროვე ცოდნაზე და ხარისხზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება;
- ბ) ახალი ცოდნის გენერირების და გაზიარების მიმართულებით ფუნდამენტური კვლევებისათვის ხელის შეწყობა;
- გ) კვლევებში უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა და წახალისება;
- დ) საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, სიმპოზიუმების ორგანიზების ხელშეწყობა;
- ე) კვლევების შედეგების პოპულარიზაციის მიზნით, უნივერსიტეტის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან მჭიდრო თანამშრომლობით კონტაქტების დამყარება უცხოურ უნივერსიტეტებთან, ორგანიზაციებთან და ბიზნეს-სექტორთან;
- ვ) უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან ერთად სასწავლო პროცესში კვლევის შედეგების ინტეგრაციის ხელშეწყობა;
- ზ) უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან ერთად სტუდენტებისთვის კვლევის მეთოდების და უნარ ჩვევების სწავლება და მათი პრაქტიკული გამოყენების სტიმულირება;
- თ) უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან ერთად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის, სხვა მეცნიერთა კვლევების და სპეციალისტთა პრაქტიკული საქმიანობის შედეგების საფუძველზე, პერიოდული ჟურნალის - „გლობალიზაცია და ბიზნესი“ - მომზადება-გამოცემის ორგანიზაცია.



ო) უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან ერთად უნივერსიტეტის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების განხორციელება: (გაცვლითი პროგრამები, გრანტები, ერთობლივი სამეცნიერო კვლევები, წამყვანი სპეციალისტების მოწვევა ლექცია-სემინარების ჩატარების მიზნით, კონფერენციებისა და სემინარების ორგანიზება, საერთაშორისო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალის მონაწილეობის მხარდაჭერა და სხვ).

მუხლი 4. ინსტიტუტის საქმიანობის ფორმები

4.1. წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მიზნის და ფუნქციების განხორციელებისთვის ინსტიტუტი ახორციელებს შემდეგ საქმიანობას:

- ა) ატარებს სემინარებს, დისკუსიებს, კონფერენციებს, სასწავლო კურსებს, პრეზენტაციებს, კონკურსებს და სხვადასხვა სახის აქტივობებს;
- ბ) თანამშრომლობს სხვადასხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან;
- გ) მონაწილეობას იღებს პროექტებსა და კონკურსებში, გამოდის პროექტებისა და კონკურსების ინიციატორად;
- დ) თანამშრომლობს უცხოეთის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან;
- ე) ახორციელებს უცხოეთიდან მეცნიერ-მკვლევართა და პროფესორ-მასწავლებელთა ჩამოყვანას და ორგანიზებას უწევს ევროპის უნივერსიტეტში მათ მიერ სემინარებზე მოხსენებებისა და ლექციების წაკითხვას;
- ვ) გამოსცემს ბიზნესის, ეკონომიკისა და ტექნოლოგიების პრობლემატიკაზე სამეცნიერო ჟურნალს და თემატურ კრებულებს, როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული ფორმით;
- ზ) ახდენს ბიზნესის, ეკონომიკურ, სოციალურ და ტექნოლოგიურ პრობლემატიკაზე უცხოური სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე თარგმნას და გამოცემას;
- თ) ეხმარება უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ჩაერთონ მიმდინარე სამეცნიერო-კვლევით, ასევე კვლევით საგრანტო პროექტებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებსა და სხვადასხვა სამეცნიერო კვლევით ღონისძიებებში;
- ი) ეწევა სხვა სასწავლო, საკონსულტაციო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 5. ინსტიტუტის სტრუქტურა

5.1. ინსტიტუტი შედგება ინსტიტუტის ხელმძღვანელის (დირექტორი), სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისგან.



5.2. ინსტიტუტის ხელმძღვანელი (დირექტორი) ჩართულია სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში, როგორც სამეცნიერო პერსონალი და კვლევითი პროცესების ხელმძღვანელი. ინსტიტუტის ხელმძღვანელის (დირექტორი) თანამდებობის დაკავების შემთხვევაში იგი იმავდროულად ითვლება მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე დანიშნულად.

5.3. ინსტიტუტის ხელმძღვანელი (დირექტორი):

- ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტს და წარმოადგენს მას მესამე პირებთან ურთიერთობაში;
- ბ) განსაზღვრავს ინსტიტუტის საქმიანობის მიმართულებებსა და ფორმებს;
- გ) ადგენს ინსტიტუტის თანამშრომელთა საშტატო ნუსხას და წარუდგენს რექტორს დასამტკიცებლად;
- დ) ახორციელებს უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით ინსტიტუტის სამეცნიერო და დამხმარე პერსონალის შერჩევას.

5.4. ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი

ა) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალი შედგება შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების მქონე პირებისაგან:

- მთავარი მეცნიერი თანამშრომელი;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომელი;
- მეცნიერი თანამშრომელი.

ბ) ინსტიტუტის სამეცნიერო პერსონალად შეიძლება დანიშნულ იქნას უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც უნივერსიტეტში არ უჭირავს აკადემიური თანამდებობა. ამასთან უნივერსიტეტის გარედან მოწვეული სამეცნიერო პერსონალის რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს სამეცნიერო პერსონალის მთლიანი რიცხოვნობის 40%.

გ) მთავარ მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება;

დ) უფროს მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი და რომელსაც აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

ე) მეცნიერ თანამშრომლად შეიძლება პირი, რომელსაც აქვს არანაკლებ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.

5.5. მეცნიერის უფლებები

მეცნიერს უფლება აქვს:

ა) დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები;



- ბ) მონაწილეობა მიიღოს დაფინანსების მოსაპოვებლად საგრანტო კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში;
- დ) წარმართოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებული იქნება ინსტიტუტის ამოცანების შესრულებასთან.

5.6. მეცნიერის ვალდებულებები

- ა) მეცნიერი ვალდებულია დაიცვას სამეცნიერო კვლევის ეთიკა და კეთილსინდისიერების ნორმები;
- ბ) თავის კვლევებში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ინსტიტუტის დებულებით დადგენილი მოთხოვნები;
- გ) ყოველი წლის დასაწყისში წარადგინოს ინსტიტუტის ხელმძღვანელის (დირექტორი) სახელზე წინა წლის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ანგარიში.

5.7. ინსტიტუტის დამხმარე პერსონალი

ინსტიტუტის დამხმარე პერსონალი უზრუნველყოფს ინსტიტუტის ორგანიზაციულ და ტექნიკურ მხარდაჭერას.

მუხლი 6. ანაზღაურება

- 6.1. ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ისევე როგორც ინსტიტუტის სხვა პერსონალს შესაძლებელია მიეცეს ინდივიდუალური ანაზღაურება;
- 6.2. ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის რექტორი.

მუხლი 7. ინსტიტუტის დაფინანსება

ინსტიტუტის დაფინანსების წყაროებია:

- 7.1. სხვადასხვა ფონდებიდან მოძიებული სამეცნიერო-კვლევითი გრანტები;
- 7.2. საბაზო დაფინანსება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან რექტორის გადაწყვეტილებით;
- 7.3. სპონსორთა საქველმოქმედო თანხები, ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებიდან მიღებული შემოსავალი (ჰონორარი) და საგამომცემლო საქმიანობით მიღებული თანხები.
- 7.4. სხვა შემოსავლები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება ამ დებულებას და საქართველოს კანონმდებლობას.



მუხლი 8. სხვა დებულებები

- 8.1. ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით.
- 8.2. წინამდებარე დებულება მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით;
- 8.3. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების, დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის რექტორის მიერ.

